

„ვამტკიცებ“

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული

ფედერაციის პრეზიდენტი გ-ნ მ. კვირკელია



2015 წელი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელებს შორის
მიღწეული სპორტული შედეგის გამო მიღებული ჯილდოს
განაწილების პროცედურისა და მათი ვალდებულებების
შესახებ

თბილისი

2015

საქართველოს ძირითადი ნაკრების მთავარი მწვრთნელის მიერ, ნაკრების სხვა მწვრთნელებთან ერთად გუნდური მუშაობის შედეგად მიღწეული შედეგის გამო მიღებული ფულადი ჯილდოს განაწილებასთან დაკავშირებული პროცედურები, უფლებები და ვალდებულებები:

1. საქართველოს ჭიდაობის ძირითადი ნაკრების მთავარი მწვრთნელი, მისი დამხმარე მწვრთნელი და ორი ასისტენტი მას შემდეგ. რაც ფედერაცია დაამტკიცებს მათ შემადგენლობას წინასწარ, ურთიერთ შეთანხმებით ადგენენ წერილობით შეთანხმებას მასზედ, რომ ძირითადი ნაკრების მთავარი მწვრთნელის მიერ, ნაკრების სხვა მწვრთნელებთან ერთად გუნდური მუშაობის შედეგად მიღწეული შედეგის გამო, საანგარიშო წლის ბოლოს მიღებული ფულადი ჯილდო განაწილდება მათ შორის შემდეგი პროპორციულობით, კერძოდ:
 - 1.1 ძირითადი ნაკრების მთავარი მწვრთნელი დაიტოვებს წლის ბოლოს მიღებული ჯილდოს 50%, მას შემდეგ, რაც გამოქვითავს საანგარიშო წლის განმავლობაში მის მიმართ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით ქონების დეკლარირებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ დარიცხულ - გადასახდელ თანხას. ხუთი კალენდარული დღის განმავლობაში დარჩენილი თანხის 20%-ს გადაურიცხავს ძირითადი ნაკრების მთავარი მწვრთნელის დამხმარე (მეორე) მწვრთნელს, ხოლო 15/15%-ს ასისტენტებს (მესამე და მოეთხე მწვრთნელებს) პროპორციულად.
2. ეროვნული ნაკრების მწვრთნელებს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმება ძალაშია მას შემდეგ, როდესაც ძირითადი ნაკრების მთავარი მწვრთნელი წარადგენს და დაარეგისტრირებს მას საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში. რეგისტრაციაზე დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, წამახალისებელი პრემიალური თანხა მწვრთნელებს შორის გადანაწილდება აღნიშნული დებულების 1.1 პუნქტის შესაბამისად. ფედერაციაში დარეგისტრირებული შეთანხმების შეჩერება, შეწყვეტა ან გაუქმება შესაძლებელია მწვრთნელებს შორის ურთიერთ შეთანხმებით, მათი შეუთანხმებლობის შემთხვევაში ერთ-ერთი მხარის მიერ ფედერაციის პრეზიდენტის მიმართ დაწერილი განცხადების საფუძველზე, საკითხს განიხილავს ფედერაციაში არსებული სამეთვალყურეო საბჭო პრეზიდენტის შუამდგომლობით, რომელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა მხარეთა შესასრულებლად და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
3. მოცემული რეგისტრირებული შეთანხმების არ ქონის შემთხვევაში, მწვრთნელების მიერ გამოთქმული პრეტენზიები ჩაითვლება უსაფუძვლოდ და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ არ განიხილება.